საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №45
2020 წლის 20 თებერვალი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ამოღებულ იქნეს შემდეგი განმკარგველი:

„254	0865	სსიპ – ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმი“;

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 5115 – ა(ა)იპ „საერთაშორისო ინიციატივა განვითარებისა და თანადგომისთვის“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„1476	5116	სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“
1477	5117	ა(ა)იპ „ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“
1478	5118	ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მელიორაცია“
1479	5119	ა(ა)იპ „გურჯაანის დასუფთავების სამსახური“
1480	5120	ა(ა)იპ „ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა ტალახაძის სახელობის საჩხერის ძალოსნობის დარბაზი“.

2. დანართ №3-დან ამოღებულ იქნეს ბიუჯეტის შემოსულობის განმსაზღვრელი შემდეგი კოდი:

„სსიპ – ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის მიერ გაწეული მომსახურების საფასური	7220“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.